მშვიდი და ბობოქარი გაზაფხული

გაზაფხული... ხან მშვიდი, ხან ბობოქარი... ჩვენი ცხოვრება... გაზაფხული...

ხშირად ქალს ადარებენ... სილამაზით, ბუნებით, ჭირვეულობით...

„მარტის თვეა შენი, შენს ხასიათს შვენის“– ასე ღადაობდნენ მამები ოთხმოცდაათიანებში.

აუჰ, შემეშალა, ასე „შაყირობდნენ“ – მაშინ ასე ითქმოდა... რა ქალი, რის ქალი, სული აბსურდი...

გაზაფხული... ხან მშვიდი, ხან ბობოქარი... ჩვენი ცხოვრება...

განახლების სიმბოლო... სიმშვიდე, მზე, სითბო, სიყვარული, მარადიული სწრაფვა ბედნიერებისკენ...

გაზაფხული – მოულოდნელი ცვლილებები, წვიმა, თოვლი, ქარი თუ ქარიშხალი...

უბედურება, რომელიც გზაზე გეღობება... მოულოდნელი ან, იქნებ, წინასწარ განზრახული...

გაზაფხული... მშვიდი, თბილი, სიცოცხლით სავსე და მაინც ასეთი საშიში... ხანაც სიკვდილივით ულმობელი...

გაზაფხული... ამ დროს ყველაზე მეტად ვგრძნობთ ჩვენს სულს...

სულს, რომელსაც სტკივა, სულს, რომელსაც უხარია, რომელიც მუდამ თავისუფლებას ესწრაფვის და მაინც ჩვენს სხეულშია გამომწვდეული... სულს, რომელსაც სიმშვიდე სწყურია, მაგრამ მშვიდადაც ვერ ჩერდება... სულს, რომელსაც ტკივილი ახრჩობს, უჭირს, ძალიან უჭირს... მაგრამ სიცოცხლე მაინც უხარია...

„თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა!“ – პოეზიაა გაზაფხული...

„სარკმელს გააღებს ამღვრეული გალაკტიონი...!“ მეფემ ასე დაამთავრა, რადგან ის თვით იყო გაზაფხული...

„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს...“ – ამასაც წერდა...

პარადოქსია : სიმშვიდე, გრიგალი... ერთად, ერთ სხეულში... და გაზაფხულში...

მუსიკას ვუსმენ, ყველანაირს.. და მაინც კლასიკას...

აი, რა არის გაზაფხული... მშვიდი და ბობოქარი... ისე, როგორც ჩვენი ცხოვრება... და გაზაფხული...

„ეე, ბიჭო, რა კლასიკა, შენ ხო არ უბერავ!“ – მეუბნება მეგობარი... ალბათ, ასეა, მე რა ვიცი...

ან იქნებ შეცდომით ვარ დაბადებული ამ საუკუნეში.

ბახი, მოცარტი, შოპენი... აი, რა არის ნამდვილი გაზაფხული...

სიმშვიდე, სიწყნარე, ნამდვილი იდილია და მაინც სულისშემძვრელი ფორიაქი.

„მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის ჩემო თერგო...“ ეს რაღამ გამახსენა, მგონი, მართლა ვუბერავ...

ანდა ეს : „გაზაფხულის საღამოა მშვიდი!“– ტერენტიმ თქვა, გრანელმა..

ალბათ წუთიერი იყო ეს განცდა, ან წამიერი... თორემ სიმშვიდე და გრანელი?!

რა აბსურდია! თუ გაზაფხული? ჰო, ალბათ გაზაფხული... ხან მშვიდი, ხან ბობოქარი... ჩვენი ცხოვრება...